View in browser

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ

DWV-ს წევრი კომპანიები სერვისებზე 25%-**იანი ფასდაკლებით** სარგებლობენ!

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ქ-ნ. მარიამ თუშიშვილს mariam.tushishvili@dwv.ge

გახდი წევრი

გამოფენები გერმანიაში

LEARNTEC 5|7 მაისი 2026, კარლსრუე

LEARNTEC - **ევროპის წამყვანი გამოფენა ციფრული განათლების სფეროში** აერთიანებს განათლებას, ბიზნესსა და ტექნოლოგიებს და მოიცავს თემებს, როგორიცაა AI, e-learning და LMS, კორპორატიული სწავლება, VR/AR და EdTech ინოვაციები.

გამოფენასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ქ-ნ. მარიამ თუშიშვილს mariam.tushishvili@dwv.ge

---

15 აპრილი 2026 | სასტუმრო Radisson Blu Iveria, თბილისი, ვარდების რევოლუციის მოედანი 1.
Get Together

23 აპრილი 2026 | სასტუმრო Tbilisi Philharmonic by Mercure, პეტრე მელიქიშვილის 10, 0179 თბილისი
სემინარი: როგორ ვაწარმოოთ წარმატებული ბიზნეს-მოლაპარაკება

29 აპრილი 2026 | სასტუმრო Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace, თბილისი 0103, თელავის ქუჩა №20.,
Expert Talk: **დოკუმენტებიდან გადაწყვეტილებებამდე: როგორ აუმჯობესებს კონტრაქტების მართვა ეფექტურობას, ამცირებს რისკებს და უზრუნველყოფს GDPR-თან შესაბამისობას**

ღონისძიების სპონსორია შპს SmartCLM.

ღონისძიებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ქ-ნ ნინო ჭეიშვილს nino.tcheishvili@dwv.ge

---

ჩატარებული ღონისძიებები

2026 წლის მარტში DWV-მ ჩაატარა:

- EUROVINO 2026: ღვინის საერთაშორისო გამოფენა ქ. კარლსრუეში, გერმანია
- ტრადიციული Get Together სასტუმრო Holiday Inn Tbilisi-ში
- **წევრთა გენერალური ასამბლეა** 2026 სასტუმრო Radisson Blu Iveria Tbilisi-ში
- Expert Talk სასტუმრო The Biltmore Tbilisi Hotel-შ

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების 2026 **წლის წევრთა გენერალური ასამბლეა რეკორდული დასწრებით**

100-ზე მეტი მონაწილე, დამტკიცებული მმართველი საბჭო და მკაფიო სამუშაო გეგმა მიმდინარე წლისთვის

2026 წლის 31 მარტს, სასტუმრო Radisson Blu Iveria Tbilisi-ში გაიმართა DWV-ს წევრთა გენერალური ასამბლეა. ღონისძიებაში 100-ზე მეტმა მონაწილემ მიიღო მონაწილეობა, რაც გაერთიანების ისტორიაში ყველაზე მაღალი დასწრებაა.

კრება გაიხსნა გასული წლის საქმიანობის შეჯამებით, რომლის ფარგლებშიც მმართველმა საბჭომ და აღმასრულებელმა გუნდმა წარმოადგინეს მიღწეული შედეგები და ძირითადი მიმართულებები. წარმოდგენილი გეგმები წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს, ხოლო მმართველი საბჭოს გასული წლის საქმიანობა დადებითად შეფასდა.

დღის წესრიგის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა მმართველი საბჭოს რიგითი არჩევნები. წარდგენილი წევრები დიდი უმრავლესობით ხელახლა იქნენ არჩეულნი: დოქტორი საშა ტერნესი (მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, Blue Orchard Finance Ltd), გიორგი ბათლიძე (BLC Law Office), დავით შენგელია (Caparol Georgia) და სანდრო ბახსოლიანი (Insta). ვასილ რაზმაძესთან (Metta) ერთად ისინი გააგრძელებენ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების საქმიანობას მომდევნო წლებში.

ღონისძიება გაგრძელდა ფურშეტის თანხლებით, რომელმაც მონაწილეებს მისცა შესაძლებლობა არაფორმალურ გარემოში გაეგრძელებინათ პროფესიული და პირადი კომუნიკაცია.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება მადლობას უხდის ყველა წევრს აქტიური მონაწილეობისა და გაერთიანების საქმიანობაში აქტიური ჩართულობისთვის.

შეთავაზება ჩვენი წევრებისთვის

Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel - **სპეციალური შეთავაზება**!

დატკბით მშვიდი და კომფორტული დასვენებით თბილისის გულში - **განსაკუთრებული შეთავაზება** 2 **ადამიანზე**.

ისიამოვნეთ კომფორტითა და დახვეწილი გარემოთი - იდეალურია მოკლე ვიზიტისთვის.

 1 ღამე 2 ადამიანზე გაუმჯობესებული კატეგორიის ნომერში
 საუზმე ოთახში
 გვიანი გასვლა
 25%-იანი ფასდაკლება რესტორანში Muse

 256 ლარი
 შეთავაზება ძალაშია 30.04.2026-მდე

Miele-**ს ექსკლუზიური შეთავაზება მხოლოდ ბათუმში**!

ბათუმის შოურუმში შეგიძლიათ ისარგებლოთ სპეციალური ფასებით შერჩეულ Miele-ს სარეცხ საშუალებებზე.

უზრუნველყავით თქვენი ტანსაცმლის იდეალური მოვლა - ფერადი, თეთრი თუ შალის ქსოვილებისთვის.

 UltraSoft – 48 (60 -ის ნაცვლად)
 UltraDark – 64 (80 -ის ნაცვლად)
 UltraWhite – 32 (40 -ის ნაცვლად)
 UltraColor – 48 (60 -ის ნაცვლად)
 WoolCare – 64 (80 -ის ნაცვლად)

 26 მაისის ქუჩა №13, ბათუმი
კონტაქტი:
 +995 596 40 13 13
| https://bit.ly/Miele-Georgia

წევრების სიახლეები

Concentrix - ლიდერი მომხმარებელთა გამოცდილების (CX) გადაწყვეტილებებისა და ტექნოლოგიების სფეროში - საქართველოში მნიშვნელოვან წარმატებას

აღნიშნავს – ამ დროისთვის კომპანიაში უკვე 500 თანამშრომელია დასაქმებული. კომპანიამ საქართველოში Enterprise Georgia-ს მხარდაჭერით ოპერირება 2021 წელს, 18-კაციანი გუნდით დაიწყო, დღეს კი - თბილისიდან ემსახურება საერთაშორისო კლიენტებს სხვადასხვა სექტორში ცხრა ენაზე.

მით ინ ჯორჯიამ მონაწილეობა მიიღო ბერლინში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში (ITB) - მსოფლიოს უდიდეს პროფესიულ პლატფორმაზე ტურიზმის სფეროში. გამოფენა მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს მრავალწლიანი პარტნიორების შესახვედრად, ინდუსტრიის მიმდინარე ტენდენციების განსახილველად და ახალი საერთაშორისო კონტაქტების დასამყარებლად. წლევანდელი გამოფენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ITB Berlin-ის საზეიმო გახსნა, რომლის მასპინძელი წელს სტუმარი ქვეყანა ანგოლა იყო, ასევე გამოფენის 60 წლის იუბილე.

საქართველოს ბანკმა ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ბაზარ ორბელიანში გამოფენა-გაყიდვის ღონისძიება გამართა, სადაც მეწარმე ქალებს ჰქონდათ შესაძლებლობა წარმოედგინათ საკუთარი პროდუქცია, მოეზიდათ ახალი მომხმარებლები და გაეზარდათ საკუთარი ბიზნესის ხილვადობა.

პროკრედიტ ბანკმა ქალები ბიზნესში (WiB) პროგრამის ფარგლებში, საკუთარ სათაო ოფისში მეწარმე ქალებისთვის შეხვედრა გამართა. შეხვედრის ფარგლებში ასევე გაიმართა ქალები ბიზნესში (WiB) პროგრამის შესაძლებლობებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა და ღია დიალოგი მონაწილეებთან.

საქართველოს ბანკი FTSE 100-ში შევიდა და გახდა პირველი კომპანია საქართველოდან, როგორც Lion Finance Group-ში შემავალი ფინანსური ინსტიტუტი, რომელმაც ლონდონის საფონდო ბირჟის 100 წამყვან კომპანიას შორის დაიკავა ადგილი.

[ყველა სიახლეს გაეცნობით აქ]

ეკონომიკის სიახლეები

2026 წლის 6-8 მარტს, ქ. კარლსრუეში, ღვინის გამოფენა - EUROVINO 2026 გაიმართა, რომელიც კიდევ ერთხელ გახდა საერთაშორისო ღვინის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი შეხვედრის ადგილი და შესანიშნავი პლატფორმა, ქართული ღვინის წარმოსაჩენად. გამოფენამ კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რამდენად დიდია საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის მიმართ ინტერესი.

საერთაშორისო პროფესიულ გამოფენაზე იკრიბებიან **იმპორტიორები**, **დისტრიბუტორები**, **სომელიეები და** HoReCa **სექტორის წარმომადგენლები მთელი ევროპიდან** ავთენტური ღვინოებისა და ახალი პარტნიორობების ძიებაში. ქართულმა მეღვინეობებმა ეს პლატფორმა წარმატებით გამოიყენეს, რათა საკუთარი უნიკალური ღვინოები წარედგინათ საერთაშორისო პროფესიული აუდიტორიისთვის და მნიშვნელოვანი კონტაქტები დაემყარებინათ.

გამოფენაში მონაწილეობდნენ ქართული კომპანიები Akureli, Mosmieri, All Season Wine **და** Bostogana, რომლებმაც თავიანთი პროდუქცია წარადგინეს ფართო აუდიტორიის წინაშე და ევროპის პროფესიონალ ვიზიტორებთან მნიშვნელოვანი კონტაქტებიც დაამყარეს.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV), **როგორც** EUROVINO-**ს ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში**, აქტიურად უჭერს მხარს ქართულ მწარმოებლებს ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო პლატფორმის გამოყენებაში, რათა მათ შეძლონ საკუთარი ღვინოების წარდგენა საერთაშორისო პროფესიული აუდიტორიის წინაშე.

გამოფენამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რამდენად დიდია ინტერესი საქართველოს ავთენტური და ხასიათიანი ღვინოების მიმართ და რა შესაძლებლობები იხსნება მწარმოებლებისთვის საერთაშორისო ბაზრებზე.

EUROVINO 2026 **დასრულდა**, **მაგრამ** EUROVINO 2027 **რეგისტრაცია მალე დაიწყება**!

EUROVINO 2027-**ის** რეგისტრაცია უახლოეს პერიოდში დაიწყება და კვლავ შესანიშნავ შესაძლებლობას შესთავაზებს ქართულ მეღვინეობებს, გახდნენ ამ საერთაშორისო ღვინის პლატფორმის ნაწილი და საკუთარი პროდუქცია წარუდგინონ საერთაშორისო პროფესიულ აუდიტორიას.

ყველა სიახლეს გაეცნობით აქ

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
Tel.: +995 32 220 57 67
E-Mail: info@dwv.ge
www.dwv.ge

ბიზნეს ბიულეტენის გამოწერის გასაუქმებლად დააჭირეთ
ქვემოთ მითითებულ ბმულს.